ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N 5/10/2

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 5 ოქტომბერი 2017 წელი

საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 52-ე მუხლის მე-6 პუნქტის, საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესი" მოთხოვნათა შესაბამისად საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

ერთის მხრივ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, წარმოდგენილი თავმჯდომარის უფლებამოსილი პირის, (ცესკოს თავმჯდომარის 2017 წლის 30 ივნისის #01-56 ბრძანება) საფინანსო დეპარტამენტის უფროსის ოთარ ბუსკივაძის სახით, შემდგომში "შემსყიდველი'' და მეორეს მხრივ, შპს ,,მაგთიკომი", წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მოადგილის გია კოშორიძეს სახით, შემდგომში ,,მიმწოდებელი", ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია 7 ერთეული (HUAWEI mobile Wifi E5573s-320) მოდემის შესყიდვა (CPV 32552410) და ინტერნეტ მომსახურების (CPV 72400000) მიწოდება.

1.2. ,,მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთრებაში გადასცეს USB მოდემები HUAWEI mobile Wifi E5573s -320 ხოლო შემსყიდველი ვალდებულია გადაუხადოს „მიმწოდებელს" წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული საფასური.

1.3. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას გაუწიოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინტერნეტ მომსახურება დანართი N2-ით გათვალისწინებულ ნომერ(ებ)ზე, ხოლო შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაიხადოს მომსახურების საფასური წინამდებარე ხელშეკრულების დებულებათა შესაბამისად.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტია 7 ერთეული WIFI მოდემი და მისი საშუალებით ინტერნეტ მომსახურების შესყიდვა.

2.2. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში (ლარში).

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 ერთ ცალი მოდემის და მომსახურების მიწოდების ტარიფები/ინტერნეტ პაკეტის ღირებულება და პირობები განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1-ით.

3.2. შესყიდვის სავარაუდო ჯამური ღირებულება შეადგენს 2 051 (ორი ათას ორმოცდათერთმეტი) ლარს, საიდანაც 1295 (ათას ორას ოთხმოცდათხუთმეტი) ლარი არის 7 ერთეული მოდემის ღირებულება, ხოლო 750 (შვიდასორმოცდაათი) ლარი არის ერთ თვიანი ულიმიტო პაკეტის ღირებულება 5 ერთეული მოდემისთვის და 6 (ექვსი) ლარი არის 500MB ერთთვიანი პაკეტის ღირებულება 2 ერთეული მოდემისთვის.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი დააკმაყოფილებს მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით შეთანხმებულ პირობებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი, ვადები და პირობები

5.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. თუ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე 1(ერთი) თვით ადრე არც ერთი მხარე არ გამოხატავს

ნებას მისი შეწყვეტის თაობაზე, ხელშეკრულება გაგრძელდება ავტომატურად იგივე ვადითა და პირობებით, ყოველი მომდევნო ვადის ამოწურვის შემდეგ.
5.2. მოდემების მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 3(სამი) სამუშაო დღისა, ხოლო ინტერნეტ მომსახურება განხორციელდება 2017 წლის 9 ოქტომბრიდან - 2017 წლის 9 ნოემბრის ჩათვლით.
5.3 მომსახურების (შესყიდვის ობიექტის) მიღება ხორციელდება მიმწოდებლის რადიოსატელეფონო სიგნალის დაფარვის ზონაში.
5.4. საქონლის მიწოდების ადგილია, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ, ცეკოს ადმინისტრაციული შენობა.

6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

6.1. შემსყიდველის მიერ მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორცილედება ეროვნულ ვალუტაში, შემდგომი გადახდის პირობით.
6.2. მომსახურების ანაზღაურება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით. დანართში #1-ში მითითებული ფასების მიხედვით, გაწეული მომსახურების ღირებულების შესაბამისად, საანგარიშო თვის მომდევნო თვის 25 რიცხვამდე.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. შესყიდვის ობიექტის (7 ერთეული მოდემი HUAWEI mobile Wifi E5573s-320) მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

7.2. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას რომ შესყიდვის ობიექტი ექსპლოატაციის ნორმების დაცვისას არ გამოავლენს დეფექტებს და იფუნქციონირებს 1 (ერთი) წლის განმავლობაში.

7.3 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების კონტროლსა და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელისმომწერი პირია ბაკურ წურწუმია.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობები

8.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
ბ) მოითხოვოს მომსახურების გაუქმება, რის შესახებაც წერილობით უნდა აცნობოს მიმწოდებელს 30 კალენდარული დღით ადრე;
8.2. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) მოახდინოს ანგარიშსწორება წინამდებარე ხელშეკრულების პირობებისა და ტარიფების შესაბამისად.
ბ) ერთი კვირის განმავლობაში წერილობით აცნობოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებაში მითითებულ მის რეკვიზიტებში ცვლილებების შეტანის შესახებ.
გ) შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ვალდებულება.
8.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:
ა) შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელთან წინასწარი შეთანხმების გარეშე შემსყიდველი, თავისი ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისას ან მის გარეშე, მოახდენს წინამდებარე ხელშეკრულებით მისთვის შეთავაზებული მომსახურების მიწოდებას ნებისმიერი ფორმით მესამე პირებისათვის სასყიდლით (მოგების/სარგებლის მიღების მიზნით);
ბ) მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით;
გ) ცალმხრივად დაადგინოს ან/და შეცვალოს მომსახურების პირობები, სახეები, წესები, ტარიფები, საფასური გადახდის წესები და სხვა პირობები. ნებისმიერი ცვილების შესახებ, შემსყიდველს ეცნობება წერილობით ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით ასეთი ცვლილების ძალაში შესვლამდე 10 სამუშაო დღით ადრე. ეს წესი მოქმედებს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ცვლილება შემსყიდველისთვის აუარესებს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს;
დ) დროებით, ნაწილობრივ ან სრულად შეაჩეროს მომსახურების მიწოდება, იმ შემთხვევაში, თუ მომსახურების მიღებისას: ზიანს აყენებს ოპერატორს; სხვა აბონონტებს ან მესამე პირებს; აბონენტისათვის გამოყოფილი სააბონენტო მოწყობილობით ან საიდენტიფიკაციო კოდის გამოყენებით ხდება ქსელში უნებართვო ჩართვა; ახორციელებს მრავალჯერად მცდელობებს არარსებული გადახდის ბარათის გააქტიურების მიზნით აწარმოებს სპამის, დაუშვებელი პროდუქციის, კომპიუტერული ვირუსის, თაღლითური, ან მავნე პროგრამების

გავრცელებას, ან გადამისამართებას, ან ახორციელებს სხვა, მათ შორის, მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს, მოგების მიღების მიზნით ან აბონენტი სხვაგვარად არღვევს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია;

ა) აღმოფხვრას მომსახურებაში არსებული შეფერხებები და აღადგინოს ქსელის ნორმალურ რეჟიმში ფუნქციონირება გონივრულ ვადებში, ტექნიკური შესაძლებლობების და მის ხელთ არსებული რესურსების ფარგლებში, მაგრამ არაუგვიანეს მიზეზის წარმოშობიდან 12 საათის განმავლობაში ან კანონმდებლობით დადგენილ ვადაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ბ) მოთხოვნის შემთხვევაში, მიაწოდოს შემსყიდველს ამომწურავი ინფორმაცია ტარიფების, ანგარიშსწორების წესის, ასევე შემსყიდველისათვის საჭირო სხვა საკითხების (რომელიც მიმწოდებლის მომსახურებას შეეხება) შესახებ;

გ) დაიცვას მომსახურებაში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ტექნიკური ნორმები;

დ) მომსახურება მიაწოდოს დღე–ღამის 24 საათის განმავლობაში, უწყვეტად, გარდა გადაუდებელი სარემონტო და პროფილაქტიკური სამუშაოების მიმდინარეობისა და რომელიც შეესაბამება კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ დადგენილ ტექნიკურ ნორმებს, სტანდარტებს და ოპერატორის ლიცენზიის პირობებს. რადიოტალღების ბუნებრივი გავრცელების თავისებურებების გამო, მომსახურება შესაძლებელია არ იყოს უწყვეტი ან შეუფერხებელი, რადიოსიგნალი შეიძლება დაიკარგოს ან მომსახურების ხარისხი შესაძლოა გაუარესდეს, განსაკუთრებით შენობებში, გვირაბებში, ან სხვა მიწისქვეშა ნაგებობებში ან მომსახურების მიღების ადგილის გეოგრაფიული, მეტეოროლოგიური ან სხვაგვარი თავისებურებიდან გამომდინარე;

ე) მომსახურების მიწოდება დაიწყოს (ქსელში ჩართვა) წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად, მაგრამ ანგარიშსწორებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა;

ვ) მომსახურების მიწოდების შეფერხების, მიუწოდებლობის ან უხარისხოდ მიწოდების შემთხვევაში, გადაუხადოს შემსყიდველს კომპენსაცია უკანასკნელ საანგარიშო პერიოდში შემსყიდველის მიერ 1 საათის განმავლობაში საშუალოდ ფაქტიურად მიღებული მომსახურების საფასურის 1 პროცენტის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ საათზე 8.4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვადის ამოწურვის შემდგომ.

ზ) შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ვალდებულება.

8.5 მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისას კომუნიკაციების სფეროსათვის დამახასიათებელი არაკეთილსინდისიერი ქმედების დაფიქსირების შემთხვევაში, მიიღებენ ყველა ზომას აღნიშნული ქმედების დროულად აღსაკვეთად. არაკეთილსინდისიერი ქმედების დროულად აღსაკვეთად მიმწოდებელი უფლებამოსილია შეუზღუდოს შემსყიდველს მომსახურების მიწოდება.

9. დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი)

9.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9.2 წინამდებარე ხელშეკრულების 9.1 პუნქტში მითითებული დაუძლეველი ძალის არსებობა უნდა დადასტურდეს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ.

9.3 მიმწოდებელი არ აგებს პასუხს მომსახურების შეფერხებაზე ან შეწყვეტაზე, თუ ეს გამოწვეულია შემსყიდველის მიერ ისეთი სააბონენტო მოწყობილობის გამოყენებით, რომელიც არ შეესაბამება ასეთი მოწყობილობებისათვის დადგენილ ტექნიკურ ნორმებს.

9.4 თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება 30 დღეზე მეტ ხანს, მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1 მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხიმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება ვალდებულების შეუსრულებლობისთვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

10.3 მიმწოდებელი არ არის პასუხისმგებელი შემსყიდველისთვის ან მესამე პირებისათვის მიყენებულ არაპირდაპირ ზიანზე, მათ შორის, წარმოების ან საქმიანობის შეჩერებაზე, მონაცემთა დაკარგვის მიუღებელი სარგებლის ან ნაყოფის ან სხვა არაპირდაპირი დანაკარგისათვის ან მათი შედეგებისათვის.

11ხელშეკრულებაში ცვლილების/დამატების შეტანის წესი

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობებში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, იმ გამონაკლისის გარდა, რომელიც გათვალისწინებულია წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამის დებულებებში.

12 დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 მხარეთა შორის წამოჭრილი დავები გადაწყდება ერთობლივი მოლაპარაკების გზით.

12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12.3 მომსახურების არაჯეროვნად მიღებასთან ან ნებისმიერ ხარვეზთან დაკავშირებით შემსყიდველი უფლებამოსილია პრეტენზიით/საჩივრით (ზეპირი ან წერილობითი ფორმით) მიმართოს მიმწოდებელს. წერილობითი პრეტენზია/საჩივარი შედგენილი უნდა იქნას განცხადების სახით და წარედგინოს/მიეწოდოს მიმწოდებელს ადმინისტრაციული ოფისის მისამართზე: ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას #7 აბონენტთა პრეტენზიების განყოფილებას ან მიმწოდებლის ნებისმიერი რეალიზაციისა და აბონენტთა მომსახურების ოფისს. პრეტენზიაში შემსყიდველმა უნდა მიუთითოს ვინაობა, მისამართი, საკონტაქტო ინფორმაცია. პრეტენზიაში მკაფიოდ და სრულყოფილად უნდა იყოს ჩამოყალიბებული თუ რა მიაჩნია შემსყიდველს მიმწოდებლის მხრიდან არასწორ ან არასამართლიან ქმედებად, მოთხოვნა და გარემოებები, რომელსაც მოთხოვნა ეფუძნება. წარდგენილი პრეტენზია განხილული იქნება კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.

13 სხვა პირობები

13.1 წინამდებარე ხელშეკრულების დანართები წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს და მოქმედებენ მასთან ერთად.

13.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.

13.3 მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13.4 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი ჯარიმის/პირგასამტეხლოს დაკისრება წარმოადგენს მხარეთა უფლება და არა ვალდებულებას დამრღვევი მხარის მიმართ და ამ უფლების რეალიზება შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. ამასთან, პირგასამტეხლოს/ჯარიმის გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.5 წინამდებარე ხელშეკრულების მუხლები/პუნქტები დასათაურებულია მხოლოდ ხელშეკრულების შინაარსის აღქმის მოხერხებულობისათვის და გავლენას არ მოახდენს მათ ინტერპრეტირებაზე.

13.6 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელშემკვრელ მხარეებთან. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებულ უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14 მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი: საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ საიდენტიფიკაციო კოდი: 203851509 ტელ: (995 32) 2510051 სახელმწიფო ხაზინა ანგ #200122900; კოდი: 220101222	მიმწოდებელი: შპს „მაგთიკომი“ საიდ.კოდი: 204876606 საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი: ბანკის კოდი № BAGAGE22 ა/ა GE66BG0000000241607901
ოთარ ბუსკივაძე	გია კოშორიძე
დეპარტამენტის უფროსი	გენერალური დირექტორის მოადგილე

ტრაფიკი	ტრაფიკის ღირებულება 30 დღე ლარი დღგ-ს და აქციზის ჩათვლით	მოდემის ღირებულება ლარი დღგ-ს ჩათვლით
500 MB	3	185
1 GB	5	
2 GB	7	
4 GB	10	
6 GB	15	
15 GB	30	
ულიმიტო	150	
წინასწარ შეძენილი პაკეტის ამოწურვის შემთხვევაში, იმოქმედებს მიმწოდებლის მიერ დაწესებული სტანდარტული ტარიფი		
პორტალიდან (www.mymagti.com) დამატებით შეგიძლიათ შეიძინოთ მეგაბაიტები		

I ჯგუფი (ულიმიტო)	III ჯგუფი (ლიმიტი 0)
ანგარიშსწორება მომსახურებაზე ხორციელდება სრულად შემსყიდველის მიერ შემდგომი გადახდის პირობით.	ანგარიშსწორება მომსახურებაზე ხორციელდება მხარეთა მიერ შეთანხმებული განსაზღვრული თანხის ფარგლებში მომხმარებლის მიერ შემდგომი გადახდის პირობით. მხარეთა მიერ შეთანხმებულ თანხაზე მეტი მომსახურების მიღებისათვის ანგარიშსწორება ხორციელდება მოსარგებლე ფიზიკური პირის მიერ წინასწარი გადახდის პირობით.

- 112-ის მომსახრების ანგარიშსწორება ხორციელდება შემსყიდველის მიერ,

დანართი 2

ნომერი: 591041307

591041308

591041309

591041310

591041311

591041312

591041314

IMEI: 863981030248154

863981030257296

863981030256140

863981030248675

863981030248857

863981030256215

863981030265505

შემსყიდველი: საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ საიდენტიფიკაციო კოდი: 203851509 ტელ: (995 32) 2510051 სახელმწიფო ხაზინა ანგ #200122900; კოდი: 220101222	მიმწოდებელი: შპს „მაგთიკომი“ საიდ.კოდი: 204876606 საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი: ბანკის კოდი № BAGAGE22 ა/ა GE66BG0000000241607901
ოთარ ბუსკივაძე	გია კოშორიძე
დეპარტამენტის უფროსი	გენერალური დირექტორის მოადგილე